№ 151 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ხუთშაბათი, ივლისის 8 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ე გვ. 6 მან. სამკლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვიღრის ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ.. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევი საზოგადოება

(1844 წ.) ამით იუწყება, რომ ქალაქთა კავშირთან შეთანხმებით და საქ. დემოკრ. რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით, მის, როგორც ქალაქთა კავშირის კონტრ-აგენტის მიერ გახსნილია

ქ. ფოთში სატრანზიტო საწყობები.

ამასთანავე, თანაბმათ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდებისა, საქონელი, რომელიც გამოგზავნილი იქნება რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგ დოების ან ქალაქთა კავშირის სახელზე ფოთში და შემოვა საზოგადოების საწყობში—სარგებლობს ტრანზიტის უფლებით, ე. ი. თავისუფლად შეიძლება გატანა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან. ცნობების გაგება შეიძლება საზოგადოების ყველა კანტორებში და ქალაქთა კავშირში ტფილისში. 1707 4—4

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს მომდინარე წლის ივლისის 19-ს ამავე ერობის ხმოსანთა მორიგი (მეხუთე) ყრილობას. განსახილველი საკითხები:

1) მოხსენება გამგეობისა წასული წლის მოქმედების შესახებ.
2) 1920 წლის საგარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3) მუხაინის, მუხაყრუის და დიდი-ჯიხაიშის უბნების მომრიგებელ-მოსამართლეთა არჩევა.
4) წვრილი ერთეულები.
5) სესხი ალება.
6) გამგეობის წევრის არჩევა.
7) მომდინარე საკითხები.

ყრილობა გაიხსნება ზემოხსენებულ რიცხვს დილის 10 საათზე ერობის ბინაზე.

723 6—3 ერობის გამგეობა.

ტფილისის მიწისქვეშა საავადმყოფოს პანტრაში არის თავისუფალი ალაგი მანკან ზე გადაწერის.

მსურველმა უნდა შემოიტანოს თხოვნა ზედამხედველის სახელზე 9 ივნისამდე

მიღებული იქნება გამოცდის შედეგ.

1748 2—2

ოფიციალური განყოფილება

დ ე კ რ ე ტ ი

ქალ. ტფილისის მილიციის შესანახად 1919 წ. გაწეული ხარჯების 50% გადაგებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ცხრა მილიონი რვაას სამოცდა ხუთი ათას რვაას ათი (9.865.810) მანეთი ქ. ტფილისის მილიციის შესანახად 1919 წ. გაწეული ხარჯის ორმოცდა ათი ათას (50) პროცენტის ქ. ტფილისის თვითმართველობისათვის ასანაზღაურებლად გამოკლებით იმ ოთხი მილიონი ოთხმოცდა ათი ათას ორას სამოცდა თვრამეტი (4.090.278) მანეთისა, რომელიც უკვე მიღებული აქეს ტფილისის თვითმართველობას ხაზინიდან სესხის სახით 1919 წელში სხვა და სხვა დროს.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 2 ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დ ე კ რ ე ტ ი

გზათა უწყების 1919—1920 წ. ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებად 150.028.025 მ გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზათა მინისტრის განკარგულებაში ან ორმოცდა ათი მილიონი ოცდა რვა ათას ოცდა ხუთი მანეთი (150.028.025 მან.) გზათა უწყების 1919-1920 წლის ხარჯთაღრიცხვის დამატებად შემდეგის განაწილებით:

ა) სახაზინო რკინის გზის 1919-1920 წლის ხარჯთაღრიცხვის განსაკუთრებული § ის დამატებად—ას ექვსი მილიონი შვიდას სამოცდა რვა ათას სამოცდა ცხრა (106.768.069) მან. და ხარჯთაღრიცხვის §-17-ით ახალ სამუშაოთა შესასრულებლად—ცამეტი მილიონი სამას ოცდა ოთხი ათას ექვსს სამოცდა ხუთი (13.324.665) მან. სულ სახაზინო რკინის გზებისათვის ას ოცი მილიონი ოთხმოცდა თორმეტი ათას შვიდას ოცდა თოთხმეტი (120.092.734) მან.

ბ) გზა-ტაკეცილების სამმართველოს 1919-1920 წლის გასავლის ხარჯთაღრიცხვის § 3 მუხ. 1 დამატებად—ჩვიდმეტი ათას ოთხმოცდა ხუთი (17.085) მან., § 3, მუხ. 3 დამატებად—ორას ორმოცდა თორმეტი ათას ექვსას ოცდაათი (252.630) მან., § 3, მუხ. 4 დამატებად—მილიონი შვიდას ოცდა თორმეტი ათას ხუთასი (1.732.500) მან., § 5 მუხ. 1 დამატებად—ერთი მილიონი ორმოცდა შვიდი ათას ორას ორმოცდა ექვსი (1.047.246) მან., § 5, მუხ. 2—ოცდა ერთი მილიონი რვაას ოთხმოცდა ათი ათას ოთხმოცდა თექვსმეტი (21.890.096) მან. და § 8, მუხ. 1 დამატებად—ოთხი მილიონი ცხრაას ოთხმოცდა თხუთმეტი ათას შვიდას ორმოცი (4.995.740) მან. სულ გზატკეცილებისათვის ოცდა ცხრა მილიონი ცხრას ოცდახუთმეტი ათას ორას ოთხმოცდა ჩვიდმეტი (29.935.297) მან.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დ ე კ რ ე ტ ი

ქალ. ფოთის თვითმართველობისათვის 6.000.000 მან. სესხად მიცემისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ექვსი მილიონი (6.000.000) მანეთი ქალ. ფოთის თვითმართველობისათვის სამნახევარი ($3^1/_2$) პროცენტიანი სესხის მისაცემად, ელევატორების გამოსასყიდლად და მათ შესაკეთებლად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქალ. ფოთის თვითმართველობის მიერ ელევატორების შემოსავლიდან ხუთი (5) წლ.ს განმავლობაში დღიდან სესხის მიღებისა ყოველწლიურად სესხის ერთი მეხუთედისა ($^1/_5$) და მისი სარგებლის გადახდით.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
ნ. ჟორდანია.

დ ე კ რ ე ტ ი

ქ. ტფილისის თვითმართველობისათვის 50.000.000 მან. სესხად მიცემისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ორმოცდა ათი მილიონი (50.000.000) მ. ქალ. ტფილისის თვითმართველობისათვის თხუთმეტი წლის ვადით სამნახევარი ($3^1/_2$) პროცენტიანი სესხის მისაცემად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქალ. ტფილისის თვითმართველობის მიერ დაწესებული 1922 წლის იანვრის 1-დან ყოველწლიურად სამი მილიონი სამას ოცდა ცამეტი ათას სამას ოცდა ცამეტი მანეთის და ოცდა ცამეტი კაპ. (7.333.333 მ. 33 კ.) თვენი ვალისა და სარგებლის გადახდით ორ ვადათ: იანვრის 1-ს და ივლისის 1-ს.

3. ამ დეკრეტით გაცემული სესხი უზრუნველყოფილ იქნეს ქალ. ტფილისის თვითმართველობის მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით და შემოსავლით.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავ-
მჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

კ ა ნ ო ნ ი

ჭიათურის შავქვაზე (მარგანეცი) სამუნიციპალო საფუთო გადასახადის შემოღებისა.

1. შემოღებულ იქნეს ჭიათურის სამრეწველო რაიონიდან რკინის გზით გატანილი შავქვისათვის (მარგანეცი) სამუნიციპალო გადასახადი ერთი მანეთი და ათი შაური ფუთზე.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული გადასახადი დაიდების აგრეთვე იმ შავქვას, რომელიც დღესაც ფოთში გადიდებულია და შემდეგ გატანილ ნება.

2. პირველ მუხლში აღნიშნული გადასახადი შემოსული თანხა განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად: სამოცდა ათი (70) მ. ქ. ფოთის თვითმართველობის სასარგებლოდ, ორმოცდა ათი (50) კაპ. ქ. ჭიათურის თვითმართველობის სასარგებლოდ და ოცდა ათი (30) კაპ. შორაპნის მაზრის ერობის სასარგებლოდ.

3. ქ. ჭიათურის სასარგებლოდ 1919 წლის აგვისტოს 2-ს დეკრეტით შავი ქვისათვის დაწესებული საფუთო გადასახადი გაუქმებულ იქნეს.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 2 ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დ ე კ რ ე ტ ი

ქ. ჭიათურის თვითმართველობისათვის 3.000.000 მან. სესხის მიცემისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის სამი მილიონი (3.000.000) მანეთი ქალ. ჭიათურის თვითმართველობისათვის სამ ნახევარ ($3^1/_2$%) პროცენტიანი სესხის მისაცემად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული სესხის თანხა და მისი სარგებელი უნდა აუნაზღაურდეს ხაზინას ქ. ჭიათურის თვითმართველობის მიერ მის სასარგებლოდ რკინის გზით გატანილი შავიქვისათვის დაწესებული საფუთო გადასახადის შემოსავლიდან, რომელიც მთლად შემოტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო ხაზინაში.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავ-
მჯდომარე **ნ. ჟორდანია**

არა ოფიციალური განყოფილება

გ ა თ ო ლ ი

საუბარი გენერალ ზაქარიაძესთან.

გენერალური შტაბის უფროსმა გენ. ზაქარიაძემ ჩვენ კორესპოდენტთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა: „ჩვენი ჯარი შედის რა ბათომის ოლქში თავის თავს გრძნობს სამშობლო ქვეყანაში და მეხლობელ ხალხთან და მტერმა სრულიად ბენეზრებივია, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებთან მათ დამოკიდებულებას აქვს მეგობრული ტრადიციური ხასიათი. მცხოვრები ყველგან მეგობრულად ხვდებიან ჩვენს ჯარს. ჩვენთან მოდიან დელეგატები აჭარის სხვა და სხვა რაიონებიდან და გამოსთქვამენ კეთილ სურვილებს. ჩვენ ჯარის წინააღმდეგ არ გვაარდნია არც ერთი თოფი, არ ყოფილა არც ერთი საწინააღმდეგო გამოსვლა. სამუსლიმანო საქართველოს ყრუ კუთხეებში ყრილ იარაღს და სწამთ ერთ საქართველოს მთავრობისა და სარდლობის დიდ სულოვნება, მოარჩილებით ჩვენთან მიდიან, ჩვენ უფრო გაეედულათ ვუყურებთ მომავალს თვალებში, სამუსლიმანო საქართველოში შემოერთების შემდეგ. სამუსლიმანო საქართველო გრძნობს, რომ ეუკლებელია საქართველოსთან დარჩენა, გაერთიანება, ძმობა და მეჭიერო შეკავშირება. რაც შეეხება ოსმალთა საშიშროებას მე ასეთ საშიშროებას ვერ ვხედავ. ებლა საკითხი სდგას ოსმალეთის ფიზიკურ არსებობის შესახებ და ამიტომ ახალ ომზე ლაპარაკი არ გვიხდება. ამას გარდა მე დარწმუნებული ვარ, და ამის საფუძველი მაქეს ესთქვა, რომ ოსმალეთი არ მოინდომებს ჩვენ სახეზი იყოლიოს მტერი, ამგვარად, ბათომის ოლქი მოკლე ხანში უნდა შეიქნეს მშვიდობიან კულტურულ სახელმწიფოებრივ ასპარეზად და ეს მეშობა, მე მოწმეს სასურველად იქნება აღსრულებული. სხვათა შორის გენ. ზაქარიაძემ აღნიშნა, რომ ზოგიერთები რაღაც მნიშვნელობას აძლევენ ბათომისკენ ჩვენი ჯარის ნელ-ნელ წინსვლას. ეს აიხსნება მხოლოდ ტექნიკური პირობებით. საერთოდ საქმეარსია გადახდოთ ჩვენ ჯარისკაცებს-მხიარულებს, ჯანმთელებს, არა მარტო ფიზიკუ-

National Library of Georgia

რათ, არამედ სულიერად, რომ იგრძნოთ რწმენა საძლიერისა. არაფითარ ძალას არ შეუძლია გამოაცალოს ჩვენ ჯარის კაცს ლოზუნგი სამშობლოს კეთილდღეობა და დამოუკიდებლობისა, ბათომისა და მის ოლქში შესვლით არ შემოიფარგლება მიზანი ჩვენი ჯარისა, რომლის წინაშე სდგას დიდი სამუშაო: ჩვენ ვარსებემორტყმულნი ვართ მტრებითა მაგრამ გვრწმუნს ჩვენი გამარჯვება და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სამშობლოს განმტკიცება- გამაგრების ბრძოლიდან გამოვალთ გამარჯვებულნი.

ჩვენი ჯარის ზეიმით შესვლა.

გენერალური შტაბის ცნობით 7 ივლისს, დღის 12 საათზე, ჩვენი ჯარები შევიდენ ბათომში. მათ მცხოვრებლები ზეიმით შეეგებენ. საღამოს 6 საათზე მოხდა საზეიმო ცერემონია ინგლისის მთავრობის წარმომადგენლების მიერ ბათომისა და მისი ოლქის ჩვენზე გადმოცემის გამო. აგრეთვე ერთდროულათ მოხდა ბათომში მყოფ ინგლისსაფრანგეთისა და ჩვენი ჯარების აღლუმი.

— 6 ივლისს 12 საათზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ბოროჩხა, სადაც ინგლისის სარდლობის წარმომადგენლებმა მმართველობა ჩვენი ჯარების უფროსს გადასცა. აგდიდმბრივი მოსახლეობა ჩვენს ჯარებს პურ-მარილით მიგებეა.

სხვა მომართულებზე სიწყნარეა.

მიმოხილვა

29 ივნისის სხდომა.

საქართველო და აღერბეიჯანი.

შემდეგს ოთხი კომისია: რკინის გზის, ფოსტა ტელეგრაფის, სავაჭრო და სატრანზიტო. კომისიის შემადგენლობა შემდეგნაირია: სავაჭრო და სატრანზიტო კომისიაში შედიან ფინანსთა მინისტრი, როგორც თავმჯდომარე და ორი-ორი წევრი მისი დანიშვნით. რკინის გზის კომისიაში შედიან გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირეკტორი და მისმიერ დანიშნული ორი წევრი. საფოსტო სატელეგრაფო კომისიაში თავმჯდომარეობს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსი და ორი მის მიერ დანიშნული წევრი.

ბუსნი ტფილისს თვითმმართველობას.

ტფილისის თვითმმართველობას სესხის სახით მიეცეს 3½ მილ. სესხის პირობებისა და სათანადო დეკრეტის შემუშავება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიედოს.

ბარჯომ-ბორიცხეთი დამტკიცება.

დამტკიცდეს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარდგენილი ბარჯომ-ბორიცხეთ ორტაანის ოლქის მილიციის შტატების შესახებად 1 მილიონი 860.000 მან. ფულის შესახებ.

კოლეგი ოზურგეთში

დამტკიცდეს ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის მიერ აღძრული შუამდგომლობა ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებისათვის ტ. ნაკაშიძის 392.400 მან. ღირებულ უძრავ ქონების გადაცემის შესახებ.

სესხი თელავის თვითმმართველობას.

დაკმ ყოფილებულ იქნას თელავის თვითმართველობის შემადგომლობა 3 მილ. მან. სესხით მიცემის შესახებ. სესხის პირობების გამორკვევა მიენდო შ ნაგან და ფინანსთა მინისტრებს.

მთავრობის გადწყვეტილები.

მიეცეს ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობას 1,500,000 მან. სესხათ. სესხის პირობების შემუშავება დაევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებითა.

გულსაკირის თემი.

გულსაკირის თემი გამოიყოს დამოუკიდებელ საერობო ერთეულად და შეუერთდება ქუთაისის მაზრას ის პირობით, რომ ოზურგეთის მცხოვრებლებს არ შეხდეს დაბრკოლება დაყოფილ მიწების სარგებლობის დროს. სათანადო დეკრეტის დამუშავება შინაგან საქმეთა მინისტრს მიენდო.

„ეგზოდუსი“ მთავრობის წინაღმდეგ.

მიენდოს იუსტიციის მინისტრს სათანადო კანონის დამუშავება სხალხო გვარდიაში და ჯარში მთავრობის წინაღმდეგ წარმოებულ აგიტაციის შესახებ.

ხეთის კახეთის რკინის გზის.

მიეცეს კახეთის რკინის გზის სამართველოს სესხის სახით ათი მილ. მან. ამ თანხიდან ნაზეგარის მიეცეს ეხლა ორის განზრახული, მეორე ნახევარს კი კახეთის რკინის გზის საქმეების გაცნობის შემდეგ მისცემენ. სათანადო კანონ-პროექტის შემუშავება დამუშავ. კრებაში წასადგენად გზათა მიმოსვლის დეპარტამენტს მიენდო.

სასურსათო დახმარება.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის სასურსაოთ დახმარების აღმოჩენის საკითხის დეტალური განხილვა მიენდოს იუსტიციის და მომარაგების მინისტრებს.

ხეხი ზ-გდოდს.

მიეცეს ზუგდიდის ქალაქის თვითმართველობას. სესხი. სესხის პირობების დამუშავება შინაგან საქმეთა მინისტრს მიენდო.

რკინის გზით გადაყვანა.

რკინის გზაზე ნისიათი გადაყვანით სარგებლობს: სამხედრო სამინისტროს ლიტერებით, მიწათ-მოქმედების გადამსახლებელი განყოფილება და შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები ცალკეი დამწყდეულთა გადასაყვან-გადმოსაყვანად. ამიტომ ყველა სამინისტროს, რომლებზედაც კი დარჩენილია ვალი, წინადადება მიეცა მათზე მითვლილი თანხა გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში შეიტანოს.

დამფუძნებელი კრება.

6 ივლისის სხდომა

თავმჯდომარეობს ალ. ლიმანთოიძე.

მ. რუხიაძ მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა რესპუბლიკის ქალაქთა მილიციის შტატისა და ბარჯომ-ბორიცხეთის დამტკიცების შესახებ.

ხეო. ჯაფარიძე მოახსენებს კანონ-პროექტს მადნეულობის სახელმწიფო საკეთრებად გამოცხადების შესახებ. ამ კანონ-პროექტის ზოგიერთ მუხლების წინააღმდეგ გამოდის ლ. შენგელაია, რომელსაც მოახსენებელი აძლევს პასუხს.

ვ. ცაბაძე მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტი სტეფანოსგან დაზარალებულთათვის სათესლე სიმინდის მისაწოდებლად ათი მილიონი მან. გადადებისა.

ივ. გოზარდეთის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ტყიბულის მადაარების საქმიანობასთვის დამატებად 14,151,320 მან. კრედიტის გახსნისა.

მისავე მოხსენებით მიღებულ იქნა შემდეგი დეკრეტები: რესპუბლიკის თვითმართველობათა სასარგებლოდ მოწყობილი ოლიანისა და გასტრონომიულ მაღაზიებზე გადასახადის დაწესებისა და უცხოეთიდან შემოტანილ კონიაკის სპირტზე საბაჟო ტარიფის შეცვლისა.

ვ. ციციკარაშვილის მოხსენებით ეფიშა მიღებული შემდეგი დეკრეტები: ქალ. თელავის თვითმართველობისათვის სამი მილ. მან. სესხის მიცემისა, ქ. ლანჩხუთის თვითმართველობისათვის 1,500,000 მან. სესხის მიცემისა, ქალ. ოზურგეთის თვითმართველობისათვის ორი მილ. მან. სესხის მიცემისა, ქალ. ზუგდიდის თვითმართველობისთვის ორი მილ. მან. სესხის მიცემისა, ქალ. ონჩეჩირის თვითმართველობისთვის 2 მილ. მან. სესხის მიცემისა.

ქრ. ზარაშვილის ასულის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები რესპუბლიკის ქალაქთა მილიციის შტატისა და ბარჯომ-ბორიცხის დამტკიცებისა და ინ დეკრეტები, რომლებიც ამავე დღეს იქნა განხილული ქალაქების სესხის შესახებ.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოში.

მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, რომელსაც უწყებათა წარმომადგენლები დაესწრენ ახილოვდენ საკითხს სამელიარაციო კრედიტის შესახებ. მოახსენებელმა ინ. ა. ესენმა აღნიშნა, რომ სამელიორაციო კრედიტთან შეკავშირებული მხარის ნაყოფიერების აწევა და კეთილდღეობაო. მელიორაციაზე მუშაობა მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას და დიდი ფონდის შექმნასო. ეს ფონდი შეიძლება შეიქმნას. სახელმწიფო ფონდის მიწების გაყიდვისაგან, რომელიც 150 მილ. მან. მოგვცემსო. ფონდის უზრუნველყოფად საჭიროა, რომ ყოველმა შეტანონ თავის მიუხედავად საკრედიტო მელიორაციის შესახებ. საკითხის განხილვის დროს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ს. ეორეულაძემ აღნიშნა, რომ საჭირო თანხის თხოვა, საჭირო იქნება მარტოთ-მარტო გადაუდებელ სამუშაოსათვის იმ პირობით, რომ მორწყულ მიწებზე დათესილი იქნეს მხოლოდ ბორბლეულობა. კამათის შემდეგ დადგინეს: ვიღებთ ინ მხედველობაშ ², რომ მიწების მელიორაცია გადადებს მხარის ნაყოფიერებას და რომ ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული ფონდის საშუალებით, საბჭო ადგენს: 1. პრინციპიალურად სასურველად იქნეს ცნობილი 150 მილიონანი ფონდის შექმნა, 2) შედგენილ იქნას კომისია და 3) მიენდოს ამ კომისიას განხილვა დებულების პროექტისა, რომელიც მან საბჭოს განსახილველად უნდა წარმოადგინოს.

აგრარულ რეფორმის შედგენა.

თანახმად მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცნობებისა, 1919 წლის განმავლობაში მიწების ჩამორთმევასთან ერთად პარალელურად მოსახლეობელი მუშაობა სწარმოიმედა უმიწაწყლო და ღარიბ გლეხებზე სახელმწიფო ფონდიდან მიწების გადაცემის შესახებ. ტფილისის მაზრაში დასაყოფათ დამზადებული იყო 24. 169 დეს. მიწა, ქუთაისის მაზრაში—15473 ქვეკ. სიღნაღის მაზრაში—3.110 დეს. ზოროპანის მაზრაში 149 დეს. და სხვა ამასთანავე გადასახლების მოგვარების შესახებაც სწარმოებდა მუშაობა. ასეთი მუშაობა ჯერ კიდევ 1918 წლის მეორე ნახევარში დაიწყო. მიწათ-მოქმედების მიერ 23 სოფელი არის გადასახლებული. მიეცათ 12,743 დეს. მიწა. გადასახლებულნი შემდეგ რაიონებში არიან განაწილებულნი: ლაგოდეხის რაიონში 7 სოფელი არის მოთავსებული, დარიგებულია 7,065 დეს. მიწა, ყარაიაზის რაიონში 3 სოფელია, დარიგებულია 1.200 დეს. მიწა, ტფილისის მაზრის რაიონში 4 სოფელი—1.092 დეს. მიწით, გორის მაზრაში—1 სოფელია 449, 6 დეს. მიწით, თელავის მაზრაში 3 სოფელია. 494,1 დეს. მიწით, თიანეთის მაზრაში 1 სოფელია 80 დეს. მიწით, ბორჩალოს მაზრაში 1 სოფელია 155 დეს. მიწით, ახალქალაქის მაზრაში 2 სოფ. 2.182 დეს. მიწა.

სომხეთ-ადეგეჯანის დაპოკიდებულება

ადერბეიჯანის სახალხო კომისრისა და საგანგებო რწმუნებულის პროტესტი.

საბჭოთა ადერბეიჯანის სახალხო კომისარმა და საგანგებო რწმუნებულმა დ. ჰასე

შემდეგ შემთხვევაში: 1, სამშობლოში დაბრუნებულ სომეხ ლტოლვილებისათვის, 2 ბათომის მცხოვრებლებითათვის და 3, ვინც საქმეზე დროებით გავზავნილი. ინგლისის და საფრანგეთის მისიებმა ამ ცნობის მიღებისთანავე შესწყვიტეს ბათომისაკენ ვიზის მიცემა.

ბარიზი. ბრიუსელში მოკავშირეთა კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კრასინთან მოლაპარაკების ექნეს მხოლოდ საავაკრო დამოკიდებულების აღდგენის საკითხი.

ბრიუსელი. ბოლონის კონფერენციაზე იხილავენ საკითხს რუსეთთან საავაკრო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. მეორე სხდომაზე ლლოიდ-ჯორჯმა განაცხადა ინგლისის თვალსაზრისი და მოითხოვა რუსეთთან საავაკრო დამოკიდებულების აღდგენა აუცილებლობა. მაღლარსნ რუსეთთან საავაკრო დამოკიდებულების შესახებ, წინააღმდეგობა არ გამოუთქვამს მაგრამ იმას კატეგორიულად მოითხოვდა საბჭოთა მთავრობასთან პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე უარის განცხადებას. საფრანგეთი შეუდრეკ ლათ ადგია თავის გადაწყვეტილებას, რომ თავი შეიკავოს ბოლშევიკებთან დამოკიდებულებაზე იმ დრამდე, სანამ მოსკოვი ძველი რუსეთის მთავრობის ყველა ვალდებულებებს თავის თავზე არ მიიღებს.

(გაზეთებიდან).

საფრანგეთის ვალი.

საფრანგეთის და ინგლისის მთავრობის შორის ამ ჟამად მოლაპარაკება სწარმოებს საფრანგეთის ვალის გადახდის შესახებ. საფრანგეთმა ინგლისს უნდა მისცეს 12 მ ლლიარდი ფრანკი, ამ თანხას საფრანგეთი ინიშნავენს გერმანიის კონტრიბუციიდან.

მონარქიულ წესწყობილების უარის ყოფა.

„პეტიტ პარიზიენი"-ს გადმოცემით გერმანიის მთავრობა ახლო მომავალში გააკეთებს დეკლარაციას სადაც გერმანია უარყოფს მონარქიულ წესწყობილების იდეიას.

ლ ტვია ახალი კაბინეტი.

ლატვიის დამფუძნებელმა კრებამ ახალ კაბინეტის შედგენა დაავალა უმნის.

ეკონომიის ეკონომიური ცხოვრება.

მეს შემდეგ რაც გერმანიას მოკავშირე საბჭოშეფ ოემმა კონტრიბუცია დაადეს გერმანიაში ეკონომიური ცხოვრება შესამჩნევად დაქვეთდა. განსაკუთრებთ ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ, რომლის ძალით გერმანიას კიდეგ სხვა ტერიტორიები ჩამოეშორა ეკონომიური კრიზისი უფრო საგრძნობი შეიქმნა.

ბ ა ქ ო

„ტიპესის" კორესპონდენტი ეხება რა უკანასკნელ მოხდარ ამბებს ადერბეიჯანში და საერთოდ კავკასიაში აღნიშნავს, რომ ბაქოში არავინ არ არის კმაყოფილი საბჭოთა მთავრობის მართვა-გ მგებლობით. ყველანი ისაყვედურებიან, რომ ოსმალო—მოძმე ბალხმა ადერბეიჯანის ოთარები მოატყუეს და მიჰყიდეს რუსის ბალშეკიკებს.

— გაზეთი „არარი" იტყობინება, რომ ერთი სომხეთის დაუძინებელი მტერი თთორეზის ბეგი ჯუვანშირი, რომელიც დაბერილი იყო ბაქოში საბჭოთა მთავრობის განკარგულებით გაუწყთავისუფლებიათ მოსკოვში მყოფ ს. შაუმიანის ცოლ ს თხოვნით.

— ოფიციალურად გამოაცხადეს ი. კუპერმანის და ზ. ბიუროკოვის დაბრეტა კონტრრაზვედკის გამო.

— გამოქვეყნდა გარნიზონის უფროსის ნესტეროვსკის ახალი ბრძანება, რომლის ძალით უნდა ჩაიბარონ ბაქოელებმა იარაღი.

— „ჩრეზვიჩაიკის" განკარგულებით ბაქოში შეიპყრეს ჰიბრაგიმ ჰაიდაროვი. მას დაბრალეს მესვიატის ცნობილ მოღაწეების განთავისუფლება.

ახალი ამბები

მე რე ხეკლენი კრება. მე-7-ე სხდომაზე საკათალიკოსო საბჭოს წევრმა კ. ცინცაძემ მოხსენება გააკეთა საეკლესიო შეოლეში სწავლების საქმის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელის აზრით საჭიროა გიიხსნა 4 წლიანი კურსები საშვილო სასწავლებელთა ტიპისა დიაკენებისა და მღვდლების მოსამზადებლად. ამ კურსებიდან ორი წლის შემდეგ გამოდიან დიაკენები, ხოლო ოთხი წლის შემდეგ მღვდლები. მოხსენება კრებამ მოიწონა. შემდეგ იმსჯელეს ყოველ ეპარქიაში სასულიერო ხარჯების მოწყობის შესახებ. გადაწყვეტეს მღვდლებმა მიიღონ ყოველი ღონე ხარჯების შესანახად საშვილების გამოსაძებნად. მერე სხდომაზე მ

მილიციაში

— ივლისის 6-ს სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ბარბარე პორფირეს ასული სტულეცი. მას ბრალდება 200,000 მანეთი ნივთების მოპარვა ქალაქ გორში არჩილ თადეოზის ძე რატიშვილის ბინიდან. ბ. სტულეი ჰასუხს გებაში მიეცა.

— ივლისის 6-ს სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ტატიანა გრიგორის ასული ივანიანცი, რომელსაც ბრალდება ხაოჯახო ნივთების მოპარვა ივ. ნიკ. ბაროვების ბინიდან რომელ ც ცხოვრობს პეტრე დიდის ქუჩაზე № 3. ივანიანცი თავის ბოროტ-მოქმედების ჩადენაში გამოტყდა და განაცხადა რომ ყველა მოპარული ნივთები მან მიჰყიდა ელენე გიორგოლის ასულს მახარაძეს რომელსაც ეს ნივთები წაეღო სოფელ ვანნაში რაჭის მაზრაში. მოპარული ნივთები ყოფილი 50,000 მანეთისა.

— სისხლის სამართლის მილიციის მიერ 3 ივლისს დაპატიმრებულია გიორგი კარაპეტის ძე არუთინოვი, რომელსაც ბრალდება კიკნაძის მაღაზიის გაქურდვა, როგორც გამოირკვა მას კიდევ ბრალდება მელიქ ფაშაკის ბინიდან 150,000 მანეთის ღირებულის ხალის მოპარვაც. ეს ხალი ამ ჟამად ნაპოვნია და გადაეკ ა პატრონს.

— 1 ივლისს დაპატიმრებულია მეგრი ქალუმ კიზი, რომელსაც ბრალდებოდა 100,000 მანეთის ღირებულების ნივთების გატაცება ხავა სულეიმან კიზის ბინიდან, გამოძიების შემდეგ გამოირკვა რომ მას კიდევ მოუპარავს 200,000 მანეთის ნივთები ნინო საფაროვის სახლიდან რომელიც სცხოვრობს ნოკოლოზის ქუჩაზე № 16. ყველა ეს მოპარული ნივთები ნაპოვნია და გადაეცა პატრონს.

ბ ა ნ ც ხ ა ლ დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა სამსახურის ნუსხა თედორე ეფდოკიმეს ძე კოზირევის სახელზე, მიღებული ყოფილა ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოდან 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვლოს. (უფ). 3—2

დაიკარგა ქუჩაზე პაპიროსებით ვაჭრობის ნებართვა № 850, გიორგი დმიტრის ძე მაისუოაძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმმართველობიდან, გაუქმებულათ ჩაითვლოს. 1739 3—2

დაიკარგა მოწაფეობის ბილეთი, სარეგისტრაციო ბარათის ასლი, და სომხეთში წასვლის ნებართვა, სერგო მანდინიანცის სახელზე, მიღებული ტფ. სომხების სემინარიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1712 3—3

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოქაული ი. ველანტია ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 3 აგვისტოს 1920 წ. დილის 10 საათზე ქ. ახალსენაკში ყრილობის სადგომში დანიშნულია საჯ რო გაყიდვა უძრავი ქონებისა კუთვნილი გარდაცვალე ესი პავლე გეგენავას მემკვიდრეების, რომელიც შეადგენს ერთი ნაკვეთი ეზოს ადგილს მდებარე ქ. ფოთში მიხეილის ქუჩაზედ ზომით 200 ოთხ. კუთხ. საჟენს. მიწას მახზედ დგმული ერთი ხის შენობით ორი განყოფილებაში დახურული კრამიტით. ეს მამული იყიდება მევალე ბარბალე გეგენავასი ვალის დასაკმაყოფილებლად აღმასრულებელი ფურცლის ძალით. მამულზე ყადაღა არ ირიცხება და შეფასებულია 1050 მან. საბუთისა და აწერილობის ნახვა შეიძლება ყრილობის კანცელარიაში ყოველ დღე 9-2 საათ. 1920 წ. 988 4—2

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების მთავარი აგენტი ამით აცხადებს, რომ განყოფილების საწყობში მობარეული ვისმე ჯარის კაცის მიერ, 6 აპრილს 1920 წ. 4 ცალი ყუთი, რომელშიაც არის გარდერობი, ტანსაცმლის შკაფი, პირსაბანი სამი მარმარილოს დაფებით, პატრონს გამოუცხადებლობის გამო გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საზოგადობის წესდების 11 მუხლის თანახმად. 722 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი, სასამართლოს ქუჩაზე № 22 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის კოვლაშვილს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 749 3—2

დაიკარგა პასპორტი ბოშე მიხელაშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1736 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 3127 მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან 1916 წ. და სარეგისტრაციო ბარათი № 32- მიმიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1920 წ. გიორგი პავლეს ძე გრიგოროვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1754 3—1

დაიკარგა მოწმობა № 417 სამხედრო აღრიცხვის უფროსთან გამოცხადების გიორგი ქართველიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პირველ ვაჭთა გიმნაზიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1755 3—1

დაიკარგა მოწმობა სამხედრო ბეგრის მოსახდელათ მიწერილობაზე № 5554 გრიგოლ ნესტორის ძე მეტრეველის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულათ საითვალოს. 1757 3—1

დაიკარგა 1. სახელმწიფო ბანკის კვიტანცია ანგარიშით № 60—ნომრებით 118, 2922, 3304 და 4213, სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორასთან არსებულ შემნახველ კასის წიგნაკი № 7904 და ტფ. საკრედიტო საზოგადოების კვიტანცია—1915 წ. 3 სექტემბერს მიღებული—აირაპეტ ალექსანდრეს ძე სელიკოვის სახელზე; 2. სახელმწიფო ბანკის კვიტანცია ანგარიშით № 1449—ნომრებით: 4214 ნადექედა აირაპეტის ასული სელიკოვის სახელზე და 3. სახელმწიფო ბანკის კვიტანცია ანგარიშით № 1448,—ნომრებით: 4210, 4211, და 4212—ეკატერინა აირაპეტის ასული სელიკოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1759 3—1

დაიკარგა პასპორტი სიმონ მამაგეიშვილის სახელზე, მიღებული როსტოვის საქართველოს საკონსულოდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1760 3—1

დაიკარგა ჯარში გასაწვევ ნაწილში მიწერილობის მოწმობა № 159 ალექსანდრე გეურგის ძე ტერ-გრიგორიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1761 3—1

დაიკარგა ორი საბარგო კვიტანცია №№ 31610 და 31611, ფირმა ტ. ვალაცის მიერ გამოგზავნილ საქონელზე ბათუმიდან ტფილისში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1762 3—1

ახალ-რიბულის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის ანტონ ტოტოს ძე აფაქიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლებანი ხსენებული აფაქიძის ქონებაზე, სამ. კან. კოდექსი-1241 მუხლის აღნიშნულ ვადაში. 699 1—1

ყვარელის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოფ. ძველ გავაზრში მ ბოვრებლის მარიამ ბაბაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მარიამ ბაბაშვილის ქონებაზე სამოქალაქო კანონის კრებულის X ტომის 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 669 1—1

დრანდის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოფელ ბაბეშერის მცხოვრებ ნესტორ სიკოს ძე ვეკუას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ვეკუას ქონებაზე ექვსი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა. 695 1—1

ქ. ტფილისის მე 14 და 15 სამმრიგებლო უბნ. სასამართლოს ბოქაული გეგეჭკორი, თანახმად 1030 და სხვ. მ.ხ. სამოქალ. სასამ. წესდებისა, აცხადებს, რომ ივლისის 15-1920 წ. დილის ათ საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა ტურგენევის ქუჩაზე ეზოში, ს. № 4. მოძრავი ქონებისა, რომელიც ეკუთვნის ივანე სტეპანის და აწერილია ანნა სტეპანიკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმასრულებელ ფურცლის ტფილისის ოლქის სასამართლოს 28 თებერვის 1920 წლ. თარიღით № 11474. ზემოხსენებული ქონება შეიცავს შინის ავეჯეულობას და დაფასებულია 700 მა. 1758 1 1

დრანდის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოფელი გელრიაშის მცხოვრები თომა ბალარის ძე შანვას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება შანვას ქონებაზე ექვსი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა. 696 1—1

დაიკარგა 20000 მან. კვიტანცია № 39, ალექსანდრე ვლადიმერის ძე ჯაფარიძის სახელზე, მიღებული ცენტრობანკიდან ივნისის 5-ს 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1751 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, № 2121 მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან და მეტრიკული ამონაწერი, მიღებული წმ. მარინეს ეკლესიიდან. მიხეილ ივანეს ძე ოტიაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1746 3—3

დაიკარგა ჯარის კაცის ნუსხა № 44 ვასილ შოს ძე ჩარკვიანის სახელზე, მიღებული რაჭის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 725 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული გამოჩენებულის ერობის გამგეობიდან და სამხედრო სამსახურის ნუსხა № 3, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან